№2755 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

**შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ სამშენებლო სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმებისაგან გათავისუფლების თაობაზე**

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 26-ე მუხლის $4^1$ ნაწილის საფუძველზე, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ (ს/კ 230866783) გათავისუფლდეს „შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს დაჯარიმების შესახებ“ სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 03 აპრილის №დად-1/05 დადგენილებით – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სადმელში, მდინარე რიცეულაზე არსებული „რიცეულა ჰესის“ მიმდებარედ ლითონის კონსტრუქციისაგან უნებართვოდ აშენებული მილის მშენებლობა სათანადო მშენებლობის ნებართვის გარეშე – შესაბამისი სამშენებლო სამართალდარღვევისთვის ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის გამო მეორედ დაკისრებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის ჯარიმის, კერძოდ, 90 000

(ოთხმოცდაათი ათასი) ლარის გადახდისაგან და „შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს დაჯარიმების შესახებ“ სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 29 მაისის №დად-26/05 დადგენილებით – ხედეთურის წყლისა და მდინარე რიცეულას წყალსაშვი გვირაბის დამაკავშირებელი ლითონის მილის მიმდებარედ კაშხლის ტიპის ნაგებობის მშენებლობა სათანადო მშენებლობის ნებართვის გარეშე – შესაბამისი სამშენებლო სამართალდარღვევისთვის ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის გამო პირველად დაკისრებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის ჯარიმის, კერძოდ, 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის გადახდისაგან.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**